

I4

სექტემბერი
September

12:00

Marc Bouchkov / violin
Mao Fujita / piano

Johannes Brahms (1833–1897)
Sonata for Violin and Piano No. 1 in G Major, Op. 78, "Regensnate"
Vivace ma non troppo
Adagio
Allegro molto moderato

César Franck (1822-1890)
Sonata for Violin and Piano in A Major, M 8
Allegretto ben moderato
Allegro
Ben moderato: Recitative-Fantasia
Allegretto poco mosso

მარკ ბუშკოვი / ვიოლინო
მაო ფუჯიტა / ფორტეპიანო

იოჰანეს ბრამსი (1833–1897)
სონატა ვიოლინოსა და ფორტეპიანოსთვის No. 1 სოლ მაჟორი, თხზ.
78, „წვიმის სონატა“
Vivace ma non troppo
Adagio
Allegro molto moderato

სებასტიან ფრანკი (1822-1890)
სონატა ვიოლინოსა და ფორტეპიანოსთვის ლა მაჟორი, M 8
Allegretto ben moderato
Allegro
Ben moderato: Recitative-Fantasia
Allegretto poco mosso

იოჰანეს ბრამსი

სონატა ვიოლინოსა და ფორტეპიანოსთვის No. 1 სოლ მაჟორი, თხზ. 78, „წვიმის სონატა“

ბრამსმა თავისი პირველი სავიოლინო სონატა 1878 და 1879 წლების ზაფხულის თვეებში ავსტრიის კურორტ პორტშახ-ამ-ვორთერბეში შექმნა. „ამ უმანკო სოფლის ჰაერი იმდენად გაჭერებულა მელოდიებით, ფრთხილად უნდა იყო, მათ ფეხი რომ არ დაადგა...“, - წერდა ის თავის მეგობარს, ცნობილ მუსიკალურ კრიტიკოსს ედუარდ ჰანსლიკს. მიუხედავად იმისა, რომ ნაწარმოები მის პირველ სავიოლინო სონატად ითვლება, ბრამსის სტუდენტის მოგონებების თანახმად, მას სულ მცირე ოთხი წინამორბედი ჰყავდა. როგორც ჩანს, სოლ-მაჟორული სონატა იყო პირველი, რომელიც ბრამსმა სამყაროსთვის წარდგენის ღირსად ჩათვალა. პრემიერა შედგა 1879 წლის 8 ნოემბერს, ბონში, რობერტ ჰეკმანისა და მისი მეუღლის, მარი ჰეკმან-ჰერტიგის შესრულებით. სონატაში ბრამსი რამდენჯერმე ციტირებს საკუთარი სიმღერის Regenlied (წვიმის სიმღერა) თემას, რის საფუძველზეც ნაწარმოებს მიენიჭა ზედსახელი Regensonate (წვიმის სონატა). კლარა შუმანს, ბრამსის მეგობარსა და თავისი დროის უდიდეს პიანისტს ძალიან უყვარდა „წვიმის სონატა“. მისი შექმნიდან 10 წლის შემდეგ, სამოცდაათი წლის ასაკში, მან მისწერა ბრამსს: „ვისურვებდი, ამ ქვეყნიდან იმქვეყნად მოგზაურობისას სონატის ბოლო ნაწილმა გამიწიოს თანხლება“.

სეზარ ფრანკი

სონატა ვიოლინოსა და ფორტეპიანოსთვის ლა მაჟორი, M 8

1858 წელს, ოცი წლით ადრე, ვიდრე ბრამსი დაიწყებდა პირველ სავიოლინო სონატაზე მუშაობას, სეზარ ფრანკი დაპირდა ფერენც ლისტის ქალიშვილს კობიმას, რომ მიუძღვნოდა მას სავიოლინო სონატას. დანაპირები მან არ შეასრულა, თუმცა 30 წლის შემდეგ ფრანკმა მაინც შექმნა სავიოლინო სონატა და საქორწინო საჩუქრის სახით გაუგზავნა ლეგენდარულ ბელგიელ მევიოლინესა და კომპოზიტორს ეჟენ იზაის. ქორწილის დღეს, 1886 წლის 26 სექტემბერს, იზაიმ ნაჩქარევი რეპეტიცია გაიარა ქორწილში დაპატიჟებულ ცნობილ პიანისტ მარი ლეინტინე ბორდ-პენთან ერთად და ნაჩუქარი სონატა სტუმრებს მოასმენინა. სონატის პირველი საჯარო შესრულება იმავე წლის 16 დეკემბერს ბრიუსელში, თანამედროვე მხატვრობის მუზეუმში შედგა. შემსრულებლები კვლავ იზაი და ლეინტინე ბორდ-პენი იყვნენ. იმ დღიდან მოყოლებული სონატამ უმნიშვნელოვანესი ადგილი დაიკავა იზაის რეპერტუარში. აღაფრთოვანა ფრანკის ოპუსმა არა მარტო იზაის კოლეგები, არამედ სხვა ინსტრუმენტალისტებიც. შედეგად სონატა გადაამუშავდა არაერთი საკრავისთვის, რომელთა შორისაა ჩელო, ალტი, კონტრაბასი, ფლეიტა, ჰობოი, კლარნეტი, ალტ-საქსოფონი და ტუბა.

ამ დროს საქართველოში...

1886 წელს რუსეთის სამუსიკო საზოგადოების (ორგანიზაცია პასუხისმგებელი იყო რუსეთის იმპერიაში მუსიკის დონის ამაღლებასა და მუსიკალური განათლების გავრცელებაზე) თბილისის ფილიალმა დააარსა პირველი სამუსიკო სასწავლებელი. სწორედ ეს სასწავლებელი გარდაიქმნა 1917 წლის 1 მაისს თბილისის კონსერვატორიად - საქართველოში ევროპული ტიპის პირველ უმაღლეს სასწავლებელად, რომელიც წლების განმავლობაში კავკასიაში ერთადერთ ევროპულ მუსიკალურ სასწავლებელს წარმოადგენდა.

Johannes Brahms

Sonata for Violin and Piano No. 1 in G Major, Op. 78, "Regensonate"

Brahms composed his First Violin Sonata during the summers of 1878 and 1879, in the Austrian resort Pörtlach am Wörthersee – “a virgin country where the air is so full of melodies that one must be careful not to step on one...”, as he wrote to his friend, the famous music critic Eduard Hanslick. Although the work is defined as his First Violin Sonata, the reflections of Brahms’ student indicate that it had at least four predecessors. Apparently, the G Major Sonata was the first that was good enough for him to be presented to the world. It was first premiered on 8 November, 1879, in Bonn, by Robert Heckmann and his wife Marie Heckmann-Hertig. Several times throughout the Sonata Brahms quotes the theme of his own song "Regenlied" (Rain Song) based on which the work was given a nickname “Regensonate” (Rain Sonata). Clara Schumann, Brahms’ close friend and the distinguished pianist of her time loved and treasured the “Rain Sonata.” 10 years after it was composed, in her seventies, she wrote to Brahms: “I wish that the last movement could accompany me in my journey from here to the next world.”

César Franck

Sonata for Violin and Piano in A Major, M 8

In 1858, twenty years before Brahms started working on his First Violin Sonata, César Franck promised Franz Liszt's daughter Cosima that he would dedicate a violin sonata to her. He did not keep that promise. Thirty years later, however, Franck composed a Violin Sonata and sent it as a wedding present to Eugène Ysaÿe, the legendary Belgian violinist and composer. On his wedding day, September 26 1886, Ysaÿe hastily rehearsed it with the renowned pianist Marie-Léontine Bordes-Pène who was invited to the wedding and performed the Sonata to the guests. The first public performance took place on 16 December of the same year at the Musée Moderne de Peinture in Brussels. Ysaÿe and Bordes-Pène were again the performers. Since that day, the Sonata became an inseparable part of Ysaÿe’s repertoire. He championed the work impressing not only his colleagues, but other instrumentalists too. As a result, the Sonata has been transcribed for various instruments and exists in versions for cello, viola, double bass, flute, oboe, clarinet, alto saxophone, tuba and other instruments.

Meanwhile in Georgia

In 1886, the Tbilisi Branch of the Russian Musical Society - an organisation responsible for raising the standard of music and disseminating musical education in the Russian Empire - founded the first College of Music. It was this College that on 1st of May 1917 turned into the Tbilisi Conservatoire - the first higher institution of the European type in Georgia that remained for several years the only High College for Music in the whole Caucasus.